საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2686 2017 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ ზოგიერთი ღონისძიების გატარების თაობაზე

1. დაევალოს სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს, „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან უზრუნველყოს 32 000 (ოცდათორმეტი ათასი) ლარის გამოყოფა შპს „ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალისათვის“ (ს/კ: 202054908) გადასაცემად, მისი შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.

2. ეთხოვოს შპს „ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკურ ჰოსპიტალს“, 2018 წლის 1 აპრილამდე სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია ამ განკარგულებით გამოყოფილი თანხის ფარგლებში გაწეული ხარჯებისა და მათი მიზნობრიობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი